

1947

№ 6, 1947 წ.  
გამოც. წელი XXIV.  
ფასი 2 მან.

# ნიანგი

თბილისი.  
გამომცემლობა  
„კომუნისტი“

საბჭოთა  
ბიბლიოთეკა



საბჭოთა სსრკ.  
26/11 7  
სტალინი  
№ 68

ნახ. ღონისა

## აბარგებულნი

- სად გაატარე ეს ზამთარი, რომ ასე გასუქებულხარ?
- კოლმეურნეობის საწყობის გამგის ეზოში.
- მაშ რაღა აბარგებულხარ?
- იხიცი აბარგეს, საწყობიდან პროდუქტების თავის სახლში გადაბარგებისათვის.



მათ სურთ შეინარჩუნონ ეს,



რომ ასე გადააკეთონ.

ძველად ცაში საქმე მოხდა,  
პირდაპირ ყბადასაღები:  
მთავარ ეშმაკს დაეკარგა  
ჯოჯოხეთის გასაღები!  
დარჩენილი უცებ გარეთ,  
აკრუსუნდა თურმე მწარედ  
და მოსთქვამდა გარეწარი:  
— „ვინ გამიღოს ბეჩავეს კარი?  
ამ ორსა და ქარაშოტში  
სად ვნახო თავშესაფარი?“  
ამის შემდეგ, იმ კულტურელამ,  
არც აცივა, არც აცხელა,  
დატრიალდა მაქოსავით  
და მიწაზე გაჩადა ხელად:  
მიწაზე და რა მიწაზე —  
გარჯა აღარ დაიშურა,  
კაპიტალის საშუალოში  
დოლარს გაეშარიშურა.  
გამოცხადდა საქისკაცად,  
კოჭი აღჩუს დაიჯინა  
და შავ ბირჟის გარეშემო  
მეგობრები გაიჩინა!  
ამბობენ, რომ მათთან ერთად  
„დიდ“ საქმეზე თურმე ზრუნავს,  
თურმე დღესაც — კაპიტალის  
ჩარხი მისი ხელით ბრუნავს.  
დახეთ ეშმაკს — გაიძვერას,  
თუ მონახა საეშმაკო —  
გ ძივრება და გამოძვრება,  
იტრიალებს, როგორც მაქო!

ფაშოზში რომ ბტვრად ვაქციეთ,  
დამდეგ იყო მისისა;  
პიტლერელი არამზადა,  
განა კოტა გაისრისა,  
მაგრამ. აოც თუ ისე ცოტა  
შეეფარა მაინც ზონებს  
და, ი, კვლავაც ნაცისტური  
იის მსგავსად თავს იჭობებს!  
(იმ ზონებში, სადაც ფეხი  
ხვებსა ჰქონდათ შემოდგომლი  
და საბჭოთა ზონის ფარგალს  
არ ეხება ზემოთქმული!)  
ჰოდა. განა იქ იმ ქვემძრომთ  
ალუკვეთეს ნთხევა გელის? —  
წაუყრუეს, თითქოს არ სურთ

გამოლიონ მათი თესლი!  
ჯონ-იანკი, თუ ჯონ-ბული  
კი არ სპობენ მათ გზაკვალსა,  
ძველ ნაციზმის ახალ-წი ქვილს  
გულმოდგინედ უხსმენ წყალსა!  
თვალთმაქცობის სანაყელში  
წყალი დღესაც ინაყება,  
და, იმ წყალში მომავალი  
შეთის ჩრდილი ინასკვება.  
ამბობენ, რომ იმ სანაყში  
ემმაკი ჰყოფს ხელსო — თარსად:  
„ფედერალურ“ რაღაც ფაფის  
მოსაკვამდ, მოსახარმად.  
დახეთ ეშმაკს — გაიძვერას,  
თუ მონახა საეშმაკო, —  
გაძვრება და გამოძვრება,  
იტრიალებს, როგორც მაქო!

დამპყრობელთა ძველ დამქაშებს —  
ცნობილია ეს ამბავი —  
ზოგჯერ მშვიდობიანობის  
მოციქულად მოაქვთ თავი  
და თუ ქვენაგრძობებისთვის,  
სიტყვა ვარგა მათთვის ფარად,  
„ოქროსიტყვებს“ მეტყველებენ —  
ჩაგრულ ხალხთა დასახმარად.  
ბახკირი, თუ ბირჟის ტუზი,  
ან სხვა მათი ნაცოლარა,  
მეცნიერულ დოქტრინებით —  
უუოებს გვიქდს წარამარა:  
— „გარწმუნებო, — იძახიან, —  
გისურს მშვიდობა — ხალხთა კერძად, —  
მიტომ ვცდილობთ გადავიქციეთ  
დედამიწის რუკის თერძად!“  
რა თქმა უნდა, „მშვიდობა სურთ“!  
განა არ ღირს გახსენებად —  
ბურების, თუ ავსტრალიელ  
მკვიდრთა მათგან „განაყენება“?  
ან ინდოელ ტომთა მუსრვა,  
მათი მ-დგმის მოსასპობად.  
ეს წარსულში... ხოლო დღეს კი  
გვთავაზობენ ასეთ ნობათს:  
ოქსფორდელი პროფესორი —  
ვინმე ჰარდი — ძველი ძია,  
დიდად დაუფიქრებია  
ჰინდეთს, ჩინეთს, — მთელს აზიას:

— იქ ხალხიო, — მოსთქვამს იგი, —  
ლარიბია, ვერა ხარობს, —  
მიტომ ცივილიზაცია  
სწოფად უნდა დაეხმაროს!  
თანაც დასძენს საქმიანად:  
— დავეხმაროთ იცით რითა? —  
ჩვენ იმ ხალხთა გამრავლება  
უნდა მოვსპოთ არსებითად!  
დახეთ ეშმაკს — გაიძვერას,  
თუ მონახა საეშმაკო, —  
გაძვრება და გამოძვრება,  
იტრიალებს, როგორც მაქო!

ტოკიოში სასამართლოს  
სხომები აქვს მეტად ბევრი,  
რომ სამხედრო დამნაშავეთ  
დასდოს მსჯავრი შესაფერი.  
მსჯელობს, ჰკითხავს, უპასუხებს,  
და ერთ ადგილს ტკეპნის, ტკეპნის,  
რომ მით შექმნას... ხერხი რამე  
გამოსავლის გამოძებნის.  
— ომის მთავარ დამნაშავეთ  
შეურბილდეს ბრალდებაო:  
ზოგი ნამინისტრალია,  
ზოგიც პრინცი ბრძანდებაო,  
ამბობს ვინმე აბლაკატი  
უილიამ უებბ სკოტი —  
ბანკირთაგან მოსცილდული  
ეს ბირჟების შავი ჭოტი.  
კანდიერად ლმობიერი, —  
დამნაშავე არამზადებს  
საბჭოეთზე ბოლმის ნთხევის  
ნებას რთავს და ვალად აღებს.  
და სამსჯავროს მაგიერად  
ეს დარბაზი — ამოდენა, —  
დაამსგავსეს ფაშისტებმა  
ვოლდვილის წარმოდგენას.  
ამბობენ, რომ თვალთმაქცობას  
გაუდგამსო იქაც ფეხი,  
ეშმაკი თუ შეიპარა —  
ის წვრილკისერ მოსატეხი!  
დახეთ ეშმაკს — გაიძვერას,  
თუ მონახა საეშმაკო, —  
გაძვრება და გამოძვრება,  
იტრიალებს, როგორც მაქო.

ფარსადა



1. — ბიძაჩემმა ხორბლის იმხელა თავთავი მოიყვანა, ორას ფუთს იწონიდა.—სთქვა ერთმა.

2. — ეგ რას გიკვირს, დეიდაჩემმა იმხელა ჭარხალი მოიყვანა, ექვსიათას ფუთზე მეტს იწონის...—უპასუხა მეორემ.

3. — ეგ გაგიკვირდათ? ბიძაჩემი მკედელია და იმხელა ქვაბი გააკეთა, შიგ მთელი ქალაქი ჩაეტევა...—დატრაბახა მესამემ.

— კი, მაგრამ მაგოდენა ქვაბი რად უნდოდა?

— ბიძაშენის მიერ მოყვანილ ხორბლის ფაფას გააკეთებდა, ან დეიდაშენის მოყვანილ ჭარხალს მოხარშავდა.—უპასუხა მესამემ. ...ქვაბის შესახებ მთქმელი, რასაკვირველია, ტრაბახობდა, მაგრამ თავთავისა და ჭარხლის „მოტრაბახენი“ ბევრად მართლნი იქნებოდნენ, ქვემოლმოთავსებული კოლმეურნეები რომ სცნობოდნათ:



სოციალისტური შრომის გმირი  
ი. ა. ქავთარაძე. 1050 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 17 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე და 20 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 39 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე.

სოციალისტური შრომის გმირი  
ს. ს. კობაძე. 20 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4760 ფუთი ხორბალი.


სოციალისტური შრომის გმირი  
ს. ა. მარიაშვილი. 1 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 1021 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

სოციალისტური შრომის გმირი  
ი. ა. მელიქიშვილი. ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 125 ფუთი ხორბალი.



# სანაგვის პრობლემა


ეს გამოგონება შეეხება მხოლოდ ქუჩების დანაგვიანებას. მოგხსენებთ, რომ მოქალაქეთა საკმაოდ ნაწილი საკმაოდ გულცივად ეკიდება ქუჩების სისუფთავეს: ტროტუარებზე ყრის მანდარინის ქერქებს, პაპიროსის ნამწვავებს და სხვა ათასგვარ ანტიუტილს. ამ მოვლენის საწინააღმდეგოდ ქუჩებში საკმაოდ მოგვეპოვება საგანგებოდ დადგმული სანაგვე, მაგრამ ამ ნაკლებმარებული სანაგვის უარყოფითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ აქვს განიერი ძირი და ვიწრო ყელი. ამის გამო ათიოდ მეტრი მანძილიდან ნასროლი ჩეჩქი ვერ ხვდება მიზანს და ანაგვიანებს მხოლოდ ხსენებული ობიექტის კარმიდამოს. (სურ. 1). ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ავიღოთ სანაგვე, გადმოვაბრუნოთ, მოგხსნათ



სურ. 1


ძირი და გაფუკეთოთ იქ, სადაც ამჟამად ყელია მოთავსებული (სურ. 2).

ასეთი სანაგვე ზედმიწევნით პრაქტიკულია და მიზანს ოთხმოცი პროცენტით მაინც მიადრწევს. თუ სურვილი გვექნება, რომ აქ მოხსენებული სანაგვის მოხმარების ასპროცენტუანობას მივალწიოთ, საჭიროა ჩამოყალიბდეს სკოლის გარეშე „განათლების“ კურსები, სადაც მოსწავლეები ნარჩენების შორიდან სროლას და სანაგვეში ჩადების ხელოვნებას ისწავლიან ბავშვობიდან, დაახლოებით მე-4-5 კლასიდან (ამ ჰასაკში იწყებენ უდისციპლინო მოქალაქენი პაპიროსის მოხმარებას).



სურ. 2

მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა მოქალაქეთა ერთი ნაწილი შეგნებულ ანგარიშს უწევს მეეზოვეებს და ცდილობს არ შეაწუხოს ისინი სანაგვეების დაკლით. ამ მდგომარეობის დროს მოქალაქე-მომხმარებელი ნაგავს ყრის არა სანაგვეში, არამედ იქვე შორიასლო დათესილ ყვავილნარში. ეს მოვლენა ჩვენში იმდენად განვითარდა, რომ საჭიროა მივმართოთ შემდეგ ხერხს:



სურ. 3

ავიღოთ სანაგვეების ერთი ნაწილი, ავაესოთ მიწით, ჩავყაროთ შიგ ყვავილის თესლი და კვლავ დაედგათ ძველ ადგილას. რამოდენიმე ხნის შემდეგ ხსენებული ავეჯი გადაიქცევა „სანაგვე-თაიგულად“. (სურ. 3). ამის შემდეგ მოქალაქენი ნაგავს გადაისვრიან არა სხვა ყვავილნარში, არამედ ჩვენს მიერ საგანგებოდ შექმნილ თაიგულის წიაღში.

აქ შეიქმნება ერთი წინააღმდეგობა:

ადვილი შესაძლებელია, იმ ორგანიზაციებმა, რომელთაც ქუჩების გამწვანება-გამწვინიერება ეკისრებათ, შეაგროვონ ეს სანაგვე-თაიგულები და ქალაქის გამწვანების მიზნით, სუყველა თავიანთი დაწესებულებების წინ დადგან. მაგრამ ეს მოვლენა რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა დაგვალოთ მეეზოვეებს, ნაგავს თუ არ გადაყრიან, გულმოდგინედ მაინც დაიცვან სანაგვე-თაიგულები ადგილცვლისაგან.

მეცნიერების დაუმსახურებელი მოღვაწე გიბა

## „ინვალიდაზი და ბავუვიას ქალაგი“

ამ დღეებში ტრამვის ვაგონში მომიხდა შესვლა. თვალებს ქართული ენით დაწერილი რაღაც უცნაურობა შეეფეთა:

„4 ადგილი ინვალიდებისათვის“

წაიკითხე. მარცხნივ მივიხედე და თვალები გამიშტერდა...


„4 ადგილი ბავუვიას ქალევისათვის“

აი, ახალი სარკვევ-სარჩევი ქართველ ენათმეცნიერებს. შეიტანონ ეს საოცარი სიტყვები ახალ ლექსიკონში.

ბ. ძ.

ნახ. ა. კანდელაკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა




1.

— შვილო, შემისვი ვაგონში, არ დამტოვო, აი ბილეთი.  
— ბილეთი რას გიშველის დედი, ადგილები არ არის!




2.

— ბილეთიც მაქვს, ღვინოც მაქვს, ქათამიც და ხაჭაპურებიც, ამისთვის დედაშვილობას.  
— მოზრძანდი დედი, მოზრძანდი, ადგილები ბლომად არის!



1. პახუმ არსენის ბორჯომის წყალი მოართვებს. ეწვევა, ეწვევა, მაგრამ ვერ იქნა და საცობი ვერ ამოაძრია...  
2. ღირეკტორს პირადი მდივანი მიეშველა, ეწვევიან... ეწვევიან, მაგრამ საცობს ძვრა ვერ უშვებს...

3. მდივან ქალს საქმეთამმართველი წამოეხმარა, საქმეთამმართველს—მოანგარიშე, ღირეკტორს—მოადგილე, მოადგილეს—მეორე მოადგილე, ეწვევიან... ეწვევიან... მაგრამ ამაოდ.



4. მოანგარიშებ და მლაგებელ ქალს დაუთახა, მეორე მოადგილემ განყოფილების გამგებს და თითქმის ტრესტის მთელი აპარატი ეწვევა ერთ მხარეს ბოთლს და მეორე მხარეს—საცობს.

5. სწიებს... სწიებს, რაც ძალი და ღონე მქონდათ, საცობი ვერ ამოაძრეს, მაგრამ როგორც იქნა ბოთლს თავი მოძვრა და... ღირეკტორი და თანამშრომლები იქით-აქით გადაცვიდნენ.

### საკიოზუდარ კუკიოზუდარი

#### ახალი ნათლიები

მეგობარმა საფოსტო ღია ბარათი გამომიგზავნა. შოთა რუსთაველის ბრწყინვალე სახემ შემომანათა ღია ბარათის მეორე გვერდიდან:

„საფოსტო ბარათი“.

ასე ეწერა ქართულად, რუსულად და ლათინურად. წაკითხვის შემდეგ თვალში მომხვდა წარწერა:

„მხატვ. ა. ფ. ჩხაიძე (ავტოპელიოგრაფია) შოთა რუსთაველი“, — ეწერა ქვევით. მეწყინა. თუ კი „საფოსტო ბარათი“ სამ ენაზე სწორად დააწერეს, — ნუთუ ჩვენი შეუდარებელი მეგობრის გვარის ქართულად სწორად დაწერა გაუჭირდათ „საქ. სამხ. ნაწარმოთა სახელმწ. ტრესტის გამომცემლობის“ და ტექსტის დამბეჭდავ — „საქ. სსრ კვების მრეწველ-სამინისტროს ლითოგრაფიის“ (ბროსეს ქ. № 2) მუშაკებს-მეთქი?

მეორე ღღეს ფოსტალიონმა ახალი საფოსტო ბარათი მომიტანა. აკაკის მადლიანმა შუბლმა შემომანათა ამ ბარათიდან. ბარათის წაკითხვამდე, ჩვენი სასიქადულო პოეტის გვარი ამოვიკითხე: აკაკი წერეთელი (ასეა წარწერილი ღია ბარათზე). ამხანაგი მწერდა:

— ვიდრე „გვარების შემცვლელი ბიურო“ დაარსდებოდა, ჩემი გვარის გამოსაცვლელად ვთხოვე, საფოსტო ბარათების გამომცემლებთან მიშუამდგომლო. იმედი მაქვს, ეს ახალი ნათლიები — მასაც შეუსრულებენ თხოვნას.

ნუკრი

#### კოვჩის გულისგვინით

ვაჟა-ფშაველას სახ. ქუჩის არასწორი წარწერა აქვს.

მთიდან მღერით მოვდიოდი, ყვავილებიც თავს მიხრიდნენ, ფსევდონიმიც შესაფერი ვარჩიე და დავიმკვიდრე.

ოი, ღღეს კი მთაწმინდიდან ჩემივე ქუჩის ნახვა მზარავს,

ეს რა უცხო წარწერა აქვს, გვარი ვინ რად შემიცვალა. „ვაჟა ფშაველას“ მიწოდებენ, ჩემთვის გვარი შეუცვლიათ, — ზოგიერთის უმეცრებას თურმე რა არ შეუძლიან. მინდი

### უხსოვარი იუმორი

#### არც ერთი უხსოვარისი თავი

ინგლისის მეფემ ჰენრი VIII განიზრახა საფრანგეთის მეფე ფრანცისკ 1-ისათვის მტრული წერილის გაგზავნა.

წერილის გადასაცემად სპეციალურად წარსაგზავნმა დესპანმა მოკრძალებით განუცხადა:

— თქვენო უდიდებულესობავ, ვაი თუ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ საფრანგეთის მეფემ თავი წამაგდებინოს!

— ერთი გაბედოს! ინგლისში მცხოვრებ ყველა ფრანგს თავებს დაეაყრევენებ!

— შესანიშნავი იქნება, თქვენო უდიდებულესობავ, ოღონდ მე იმის მეშინია, რომ არც ერთი მათგანის თავი ჩემს კისერს არ მოადგება! — მწარე ღიმილით უპასუხა დესპანმა.

#### სეფენიძე


ერთი ინგლისელი ჟურნალისტი სამართალში მისცეს იმის გამო, რომ გაზეთში თავის მიერ შეთხზული სეფენიძე დაბეჭდა ერთი დღით ადრე, ვიდრე მეფე გეორგ მეორე სიტყვას წარმოთქვამდა.

— ვიმედოვნებ, რომ ჟურნალისტს გაამართლებენ, — შენიშნა ამის გამო მეფემ, — მისი სეფენიძევა ჩემსაზე მეტად მომწონს.

#### შთავო კაცი

ვოლტერმა ერთი დიდებულის ოთახში რამდენიმე ათეული პარიკი ნახა.

— საოცარი შემთხვევაა! — განცვივრდა ფილოსოფოსი. — უთავო კაცს რამდენი პარიკი ჰქონია!



— მიწვანის გამგე ნახულობს ხოლმე თქვენს კოლმეურნეობას?  
— როგორ არა, ძალიან ხშირად—ცოლმეილი ჩვენს სოფელში ჰყავს.

სარედაქციო კოლმეობა: ი. გრიშაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. შაშალიშვილი, ვრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ბელმბოწ. დასაბ. 1947 წ. 17/IV. თ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამოც. № 38\_შეგ. № 540. ტირ. 7500 ზმ 01672